# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— შაბათი, 19 თებერვალი 1900 წ. № 1049.

**გაზეთი ღირს:** წალიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.

**შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა 22 თებერვალს**

შაბათს, 19 თებერვალს, დიდუბის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება მეორმოცე დღის წირვა დ პანაშვიდი გარდაცვალებულის

**გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა**

მეუღლე და შვილები გარდაცვალებულისა, აუწყებენ რა ნათესავთ და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ დიდუბის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის $9^1/_2$ საათ., პანაშვიდი $11^1/_2$. (რ. 2—2)

# ქართული თეატრი

**შაბათს, 19 თებერვალს,**

ბენეფისი

**პ. აბაშიძისა და კ. მესხისა**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების არტისტებისაგან, ქ-ბ. ეფემია მესხის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნება

## კაზაიანი

დრამა 5 მოქ. თ. ა. სუმბათაშვილის პიესიდამ გადმოკეთებული კ. მესხის მიერ.

ახალი პიესა

**რიოში და ნამდვილი**

ხუმრობა 1 მოქმედ. გადმოკ. პ. უმიკაშვილის მიერ.

მოთამაშენი: ქქ. ეფ. მესხი, გაბუნია ცაგარელი, კარგარელი, ნებიერიძე, გარელი, აბხაზიშვილი; ბ.ბ. აბაშიძე, მესხი, ყიფიანი, გედევანოვი, ადამიძე, ჯაჯანაშვილი, ურუშაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.— დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი: **ვ. აბაშიძე და კ. მესხი.**

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (60—11)

# ახალი ამბავი

✦ დღეს, 19 თებერვალს, ქართული დრამატიული დასი გამართავს წარმოდგენას რეჟისორების —**ბ. ბ. აბაშიძის და მესხის—საბენეფისოდ.** წარმოდგენილი იქმნება სუმბათაშვილის ცნობილი კომედია „კაზაიანი“ და პ. უმიკაშვილის მიერ გადმოკეთებული ხუმრობა „რიოში და ნამდვილი“. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ეფემია მესხი.

✦ გუშინ, 16 თებერვალს, ტფილისის ინტენდანტსტვოს სადგურში გარდახდილ იქმნა სადღესასწაულო პარაკლისი ინტენდანსტვოს 200 წლის არსებობის გამო. სადგური და დარბაზი, სადაც პარაკლისი იქმნა გადახდილი, მრავალი ფერადი ბაირაღებით იყო მორთული. პარაკლისს დაესწრო მთავარმართებლის თანაშემწე გენერალი ფრეზე, გენერლები—ამირაჯიბი, ჰავჰავაძე, ამილახვარი და სხვანი.

✦ სამხედრო-საოლქო რჩევის დარბაზში აფიცრებთათვის კითხულობენ თათრულ ენის ლექციებს, რადგან ეს ენა ძალიან საჭირო ყოფილა მათთვის, მეტადრე საგენერალო შტაბის აფიცრებთათვის, რომელნიც დასაზვერად და სხვა მინდობილებათა აღსასრულებლად იგზავნებიან თათრების ქვეყნებში. ამ ჟამად დიდის მეცადინეობით და გულმოდგენით შესდგომიან აფიცრები ამ ენის სწავლას.

✦ 21 თებერვალს ტფილისის საბჭოს კრებაა დანიშნული. სხვათა შორის ამ კრებაზე დანიშნულია არჩევაქალაქის თავის მოადგილისა.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

17 თებერვალი

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით აუწყებს სამხედრო სამინისტროს: „დენდონალდი ნატალის კარაბინიორებით გუშინ საღამოს შევიდა ლედი-სმიტში. მე ვადგევარ ნელსდორპის გზას“.

**პაარდბერგი.** აქ ლაპარაკობენ, რომ სამხრეთ დასავლეთისაკენ სდგას ბურების ძლიერი რაზმი.

**რენსბურგი.** დღეს დილით გენერალი კლემენტსი შევიდა კოლესბერგში, სადაც დიდის აღტაცებით დაუხვდნენ. მტერმა სრულიად დაიწია უკან. ბევრი ცნობილი მცხოვრებნი დატუსაღებულ იქმნენ.

**ლონდონი.** დილის გაზეთები იუწყებიან 15 თებერვალს კაპშტადტიდან მოსულ ამბავს, რომ კიტჩენერი არუნდელშია, ხოლო ბურებმა ნ ორეალსპონტისაკენ დაიწიეს.

**ლონდონი.** გუშინ ედინბურგში მიდლოტანთა ლიბერალურ ასსოციაციის წლიურ კრებაზე, თავსმჯდომარემ გამოაცხადა, რომ როზბერმა განაცხადა უარი ასსოციაციაში თავმჯდომარეობაზე და რომ მას სწადიან, გარდა ამისა, დაარღვიოს კავშირი შოტლანდიის ასსოციაცებთან. დილის სხვა-და-სხვა გაზეთები ამბობენ, რომ აქედან ისა სჩანსო, რომ როზბერის გადაწყვეტილი აქვს უარი ჰსთქვას აქტიურ პოლიტიკაზედაო.

**ლონდონი.** ბურები, რიცხვით 10,000 კაცი, მოფარებულ პოზიციებში არიან 6 ან 7 ზარბაზნით და ცხადია, რომ არა ჰსურთ ლედი-სმიტს ალყა ახსნან. ისინი იბრძვიან, როგორც ამბობს გაზეთი „ტაიმსის“ კორრესპონდენტი, უფრო მტკიცებთ და მამაცურად, ვიდრე აქამდე; გაზეთი „ტაიმსი“ ამბობს რა იმ დაბრკოლებებზე, რომლებიც ბულერის წინააღმდეგ არიან, შეჰნიშნავს, რომ გორა ისიმბულვანი, რომელსაც ერთის მხრივ ჩამოუდის მდინარე კლიპი, წარმოადგენს, როგორც სჩანს, საშიშ პოზიციას როგორც იერიშის მისატანად, აგრეთვე მოსაგერიებლად.

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით დაწვრილებით იუწყება: დენდონალდი ნატალის კარაბინიორებითა და შეერთებულ პოლკით წარსულ ღამ შევიდა ლედი-სმიტში. ჩვესა და ლედი-სმიტს შორის მდებარე ადგილი მტერმა მიატოვა. მე მივდივარ ნელსდორპზე“. რობერტსი იუწყება დეპეშით პარდებერგიდან 16 თებერვალს შემდეგს: „რაკი მიღებულ იქმნა ამბავი, რომ ბურებმა მიატოვეს კოლსბერგი, კლემენტსმა გაგზავნა ჯარი კოლსბერგთან მყოფი სადგურის დასაჭერად და თვით გაემართა კოლსბერგში, სადაც ხალხის მიერ იქმნა მიღებული დიდის აღტაცებით. იმან აიღო რაც სურსათი იყო იქ, შეიპყრო რამდენიმე მეამბოხენი და დაბრუნდა რენსბურგში“.

**სტერკსპრიტი.** ლედი-გრეის ბურები ამბობენ, რომ გენერალმა ბრაბანტმა კვლავ აიღო ჯემსტაუნი. ბურებს მოუკლეს, 50 დაუჭრეს 123 და უგზო უკვლოდ დაეკარგად 300, მრავალი მეამბოხეთაგანნი უბრუნდებიან თავიანთ სახლ—კარს.

**ლონდონი.** კაპშტადტიდამ დეპეშით აუწყებენ საღამოს გაზეთებს, რომ ბურები მძლავრად დაეცნენ მეფკინგს, მაგრამ ყველა ადგილებიდამ უკუცეულ იქნენ. შემდეგ კიდევ დაეცნენ კვირას და კვლავ უკუქცეულ იქმნენ, ამასთანავე ბურებს მოუკლეს და დაუჭრეს 40, ინგლისელებს 2 მოუკლეს და 3 დაუჭრეს.

**ლონდონი.** „რეიტერის საგ.“ იუწყება 12 თებერვალს ბურების უმთავრეს ბანაკიდამ, რომელიც ლედი-სმიტთან არის, რომ იქ მოსულან პრეტორიაში მიმავალი 28 ტყვე, რომელთა შორის, ინნისკილინსკის ფიუზილერები არიან და ერთი პოდპორუჩიკი.

გენერალი კლერი ავადმყოფობისა გამო კარვიდან გარედ ვერ გამოსულა, ამისათვის მისი დივიზიის სარდლობა მიიღო თავის თავზე ლიტლტონმა.

ბურთა უმთავრესი სადგური მდებარეობს მიტოვებულ ადგილსა.

კოლენზოსთან ფიუზილერებმა დაჰკარგეს 70 ქვეითა ჯარის კაცი და 3 აფიცერი, ბურებს 40 კაცი დაუჰრეს. ბურები მამაცად და მხნედ არიან.

**18 თებერვალი**

**პეტერბურგი.** საინტენდანტო უწყებას 200 წ. შესრულების დღესასწაულის დღეს მოუვიდა ხელმწიფე იმპერატორისაგან წყალობის წერილი.

**ლონდონი.** ბურების ბანაკიდან ლედი-სმიტთან დეპეშით იუწყებიან 12 თებერვალს, რომ მდ. ტუგელის ნაპირებიდან მოსულ ცნობებით, იქ გაცხარებული ბრძოლა არ შეწყვეტილა ხშირბინდამდინ; ინგლისელებმა ოთხჯერ მოინდომეს იერიშის მიტანა კრეგერსდორფზედ, მაგრამ ოთხჯერვე უკუ-ქცეულ იქმნენ დიდის ზარალით. იქ მყოფნი ამტკიცებენ, რომ ინგლისელების ზარალი დიდიაო. ბურები თავიანთ პოზიციებიდან ზარბაზნებს ესროდნენ ინგლისელებს 70 იარდის მანძილზე და უკანასკნელნი თითქმის სულ გამუსრეს. ინგლისელებმა ტუგელის აქედა ნაპირზედ გადმოიტანეს 30 ზარბაზანი, მაგრამ მხოლოდ იმ მანძილზე მიუახლოვდნენ, რომ მათი მოქმედება შეუძლებელი იყო. ბურებმა დაკარგეს 9 მოკლული და 14 დაჰრილი.

14 თებერვალს ბურები შეეცადნენ რამდენჯერმე გამოსულიყვნენ და დაეთვალიერებინათ ინგლისელი ჯარები. ღამე არტილერიის ერთმა რაზმმა მოისურვა გზა გაექვლია დასავლეთისაკენ, მაგრამ მტერმა ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია და აიძულა უკან დაბრუნებულიყო. ინგლისელები შემდეგ შეეცადნენ გაექვლიათ გზა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრით კოლენზოსაკენ, მაგრამ ამის შედეგი ის იყო, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში ლედი-სმიტი გახვეული იყო ტყვიაწამლის კომლში. გუშინ ინგლისელებმა ითხოვეს ბრძოლის შეწყვეტა დახოცილთა დასასაფლავებლად, რაზედაც ბურები მაშინვე დასთანხმდნენ. სამოსკილონის ფიუზილიორებმა, დუბლინის, დორგეტის და კანაუტის პოლკებმა ძალიან ბევრი დაჰკარგეს.

გენერალის ბულლერისაგან ნელსტორპიდან ჩვიდმეტ თებერვალს გამოგზავნილი დეპეშა შემდეგს იუწყება: „ეს არის ეხლა დავბრუნდი ლედი-სმიტიდან. რამდენიმე ბოლო რაზმების გარდა, სიურპირტ-ბილის აღმოსავლეთით, ყველა ალყა-შემორტყმულებმა მსწრაფლ უკან დაიწიეს. სამხრეთის მიდამოები მთლად დასტოვეს ბურებმა. ლედი-სმიტის გარნიზონი საჰიროებს ცოტა ხნით მოსვენებას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება მათი ბრძოლის ველზე გაყვანა.

**ლონდონი.** სამხედრო დაწესებულების ხარჯთ-აღრიცხვა 1900—1901 წლებისა დადგენილია და საზოგადო მისი ჯამი 61,499,400 გირვანქა სტერლინგია 430,000 ჯარის კაცისათვის, წარსულ წელს გადადებული იყო 20,617,200 გირვანქა სტერლინგი 184,853 ჯარის-კაცისათვის.

**ლონდონი.** იმისთანა სიმხიარულე ქუჩებში ლედი-სმიტის განთავისუფლებისა გამო, „როგორიც არას დროს არა ყოფილა. ცნობა, კრონიეს დატყვევების შესახებ, შედარებით დღევანდელ სიმხიარულესთან, მიღებულ იქმნა მშვიდად. ინგლისის ბაირაღებით შემკობილია ყველა საზოგადო და კერძო სახლები და გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაზედაც კი ამართულია დღეს ბაირაღი. ქუჩაში მრავალი ხალხი დაღის ბაირაღებით, რომელსაც მხიარულად აფრიალებენ ძლიერი „ურა“-ს ყვიყვირილით.

საღამოს გაზეთებში დაბეჭდილია ხმები, რომ ინგლისის ცხენოსანი ჯარი მისულა ბლუმფონტენამდე. სამხედრო სამინისტროს არ მიუღია ამის შესახებ ცნობები.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**საკალენდრო ცნობები**

**შაბათი,** 19 თებერვალი; ახალი სტილით 3 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 316 დღე. მთვარის მე-4 დღე. ხსენება წმ. მოწამისა არხიპისა და წმ. ფილიმონისა.

**კვირა,** 20 თებერვალი; ახალი სტილით 4 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 315 დღე.

შემდეგი უქმი—20 თებერვალი—ყველიერი.

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | — | 11 გ. |
| სუკი . . . . | 1 › | — | 15 გ. |
| › ცხვრისა . | › › | — | 11 გ. |
| › კამეჩისა. . | › › | — | 5 გ. |
| › ღორისა. . | › › | — | 8 გ. |
| › ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 › | — | 10 გ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 | გ. |
| › › | II | › › | › $3^1/_2$ | › |
| › › | III | › › | › 3 | › |
| იგივე თონისა | I | › › | « 5 | › |
| › › | II | › › | › 4 | › |
| › › | III | › › | › $3^1/_2$ | › |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | › › | › 6 | › |
| › › | II | › › | › 4 | › |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | | კოკზადზე | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | | მ. კ. | მ. კ. | |
| | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . | 1 | — 88 | — 85 | |
| სიმინდი . . . . | 1 | — 70 | — — | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — — | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — — | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — — | |
| კარტოფილი . . . | 1 | — 60 | — — | |
| ხახვი . . . . . | 1 | — 50 | — — | |
| თივა . . . . . | 1 | — 60 | — — | |
| ბზე . . . . . | 1 | — 28 | — — | |

შავი ღვინის ს (?) 1 ბოთლი საჟ. საწყობებში 38 მ., შავი ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,— კამეჩი — მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 › 25 › | |
| № 1—8 › 50 › | | № 5—7 › — › | |
| № 2—8 › — › | | № 6—6 › 75 › | |
| № 3—7 › 50 › | | № 7—6 › 25 › | |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

**საავადმყოფოები**

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვე, ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კასპთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი ეგიაზაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩიტახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე იავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

# განცხადებანი

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნები:

ა) Царица Тамара, ფ. 50 კ.

ბ) Грузинскія обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.

გ) Исторія Грузинской церкви, ფ. 40 კ.

შინაარსი 1-ლის წიგნისა: ა) მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა თამარის ეპოქამდე, ბ) რუს-ქართველთა დამოკიდებულება, გ) თამარ მეფე და დ) პალეოგრაფიული ნიმუშები: 1) წერის ნიმუშები მე-VII, VIII—IX და X საუკ., 2) ხელწერილობა თამარისა, მისის მამის გიორგისა, ქმრის დავითისა, შვილის გიორგი ლაშასა, შოთასი (რუსთაველისა?), კათალიკოზის თევდორესი, მანდატურთ ხუცესის ჭიაბერისა და სხ. წიგნის დასაწყისს დაბეჭდილია თამარ მეფის სურათ-ხატი. 2—1

გამომც. **გ. გუნია**